თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №5

თბილისი, 7 სექტემბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ თალაკვაძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ნინო მინდიაშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ სალუაშვილი;
- „ეროვნული ერთიანობის პარტია“ – თამარ ღვინაძე;
- „ქართული ოცნება“ – ირაკლი კობახიძე;
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“ – კახა კუკავა;
- „მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო – ხათუნა ჭითანავა;
- USAID – ხათუნა კუნჭულია;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – მარიამ ციციშვილი, ნატაშა როტჩაილდი;
- „ევროპის საბჭო“ (COE) – არჩილ ფაშალიშვილი;
- „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია“ (OSCE/ODIHR) – ენირა ბრონიტსკაია, მორეტა ბობოხიძე;
- „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – პრესტონ ლინდლერი, ქეთევან ჩადუნელი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ნინო გვარამია;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – თათია ღაღანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) შესაძლო ძალადობის ფაქტებზე შემოსული განცხადებების განხილვა:
   - სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, ზაზა გოროზიას, რძლის – ოლგა ჩურკანოვას, მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე მარტვილის 65-ე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ;
   - ბორჯომში „ლეიბორისტული პარტიის“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი გიუაშვილზე განხორციელებული განმეორებითი თავდასხმის თაობაზე;
   - ფოთში შსს-ის თანამშრომლების მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაკავებისა და ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით მათი გადაყვანის თაობაზე;

- „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე – გიორგი ძიძიგურსა და ნატა გოდერძიშვილზე – განხორციელებული შესაძლო თვალთვალისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის, სანდრა რულოვსის, მოსახლეობასთან შეხვედრის ხელშეშლის თაობაზე;
- 2016 წლის 26 აგვისტოს დაბა მანგლისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატის, ნუგზარ წიკლაურის, ბანერის განადგურების თაობაზე.

2) რეკომენდაციის გამოცემის მიზნით წარმოდგენილი განცხადებების განხილვა:
   - საარჩევნო გაერთიანების – „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – განცხადება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ, რომლის თანახმადაც, საარჩევნო სუბიექტების მიერ პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადის (8 სექტემბერი) გასვლის შემდეგ არაკვალიფიციურ სუბიექტებს მიეცეთ უფლება, კვირის ყოველ სამუშაო დღეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პრესცენტრში გამართონ თითო ბრიფინგი;
   - „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენლის, ბატონი გრიგოლ გაგნიძის, განცხადება ცესკო-ს მიმართ მაჟორიტარობის კანდიდატების ნასამართლობის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით.

3) დუშეთში შალვა ნათელაშვილის მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელებისთვის გამართული ღონისძიების ტელევიზიების მიერ გაუშუქებლობასთან დაკავშირებით, ასევე, აღნიშნულ შეხვედრაზე მყოფი მხარდამჭერის დასახმარებლად გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნაცვლად პატრულის ეკიპაჟის გამოცხადების თაობაზე.

4) სხვადასხვა.

სხდომის დასაწყისში, კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ იუსტიციის სამინისტრო კვლავ განაგრძობს საარჩევნო სიის მონაცემების დახვეწას, და წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები.

თავმჯდომარის განცხადებით, 2016 წლის 6 სექტემბრის მონაცემებით, 12 000-მდე პირმა, რომლებსაც არ გააჩნდათ იურიდიული ძალის მქონე არანაირი დოკუმენტი, უფასო

პირადობის მოწმობის აქციის ფარგლებში მიიღო პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. შესაბამისად, მათ მიეცემოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. გარდა ამისა, 104 000-მდე პირმა, რომლებსაც 2016 წლის 8 ოქტომბრამდე ეწურებოდათ იურიდიული დოკუმენტების მოქმედების ვადა, განაახლა საბუთი, შედეგად, ისინი დაბრკოლების გარეშე შეძლებენ ხმის მიცემას. მინისტრი შეეხო რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების საკითხსაც, რომლებისთვისაც იუსტიციის სამინისტროს მცდელობით არაერთი კამპანია ჩატარდა. არსებული მონაცემებით, რეგისტრაციიდან მოხსნილმა 8 000 პირმა განაახლა საბუთი და განახორციელა რეგისტრაცია. იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, ჯამში, 120 000-მდე ამომრჩეველი, ვინც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, დღეის მდგომარეობით, უკვე თავისუფლად ისარგებლებს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით.

კომისიის თავმჯდომარემ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ მხარდამჭერებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული აქციების შესახებ.

აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს სხვადასხვა პარტიისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. მათ შორის, კახა კუკავამ („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“) წამოაყენა ინიციატივა, უფასო აქციით სარგებლობა შესაძლებელი ყოფილიყო იმ პირებისთვის, რომელთა იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი განსხვავებულია ქვეყანაში არსებული შიდა მიგრაციის გამო და არჩევნებში მონაწილეობისას მთელ რიგ პრობლემებს აწყდებიან, ინიციატივის თანახმად კი, მოქალაქეთა ეს ჯგუფი გამარტივებულად შეძლებდა მისამართის ცვლილებას მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესაბამისად. აღნიშნულ ინიციატივას არ დაეთანხმა ირაკლი კობახიძე („ქართული ოცნება“), რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი რისკების შემცველია და შესაძლებელია, ამით ბოროტად ისარგებლოს სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა. ქალბატონმა თეა წულუკიანმა კახა კუკავას ინიციატივაზე განაცხადა, რომ განეხილათ პარტიებს შორის ეს ინიციატივა და ყველა საარჩევნო სუბიექტს შორის შეთანხმების შემთხვევაში, ის გამოსცემდა შესაბამის ბრძანებას.

ქალბატონი თეა წულუკიანი შეეხო 7 სექტემბრის ნატო-საქართველოს საბჭოს სხდომასაც და კომისიის სხდომაზე დამსწრეთ აცნობა, რომ ღონისძიებაზე აღინიშნა ბოლო პერიოდში საარჩევნო სფეროში არსებული პროგრესი, და რომ წლევანდელი საარჩევნო გარემო საქართველოში ვერ შეედრება წინა საპარლამენტო არჩევნების პერიოდს გამოხატული აგრესიის ოდენობით თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სიმშვიდის საფუძველს არ ქმნიდა და არჩევნების მოახლოებისა და

პოლიტიკური პარტიების გააქტიურების ფონზე კომისია მასში შემავალ უწყებებთან ერთად ნებისმიერ საკითხს განსაკუთრებული სიმკაცრით და ყურადღებით მოეკიდებოდა. სწორედ ამიტომ სხდომაზე კომისია დეტალურად მოისმენდა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან შესაბამის რეაგირებებს და თითოეული პოლიტიკური პარტიის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს იმ მიზნისთვის, რომ რაც შეიძლება მშვიდ, სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩაიაროს არჩევნებმა. აქვე თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა დღევანდელი ხელისუფლების მონაპოვარს, რომ მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად აირჩიონ ის საარჩევნო სუბიექტი, ვისაც მხარს უჭერენ.

შემდგომ ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრეთ სიახლე გააცნო იმის შესახებ, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით და მთავრობის გადაწყვეტილებით წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის წინააღმდეგ 15 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ჩატარდება სპეციალური საინფორმაციო კამპანია.

სწორედ აღნიშნული კამპანიის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარემ ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის წინააღმდეგ ერთობლივ ვიდეორგოლში მონაწილეობა შესთავაზა (რგოლის გადაღებისა და სატელევიზიო ეთერში განთავსების ხარჯებს იუსტიციის სამინისტრო გაიღებს). იუსტიციის მინისტრის იდეის თანახმად, ყველა საარჩევნო სუბიექტი ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სატელევიზიო რგოლში ერთად მიიღებს მონაწილეობას და საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდებს, არ დაუშვან ძალადობა არც წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს. ეს იქნება უპრეცედენტო რგოლი, როცა ყველა პარტია, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, გაერთიანდება მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებისთვის.

საინფორმაციო კამპანიის მიზანია, არჩევნები ჩატარდეს ძალადობისგან თავისუფალ გარემოში; თითოეულმა ამომრჩეველმა, პარტიის მხარდამჭერებმა გააცნობიერონ, თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ ნებისმიერი ძალადობის ფაქტს. კამპანიის ფარგლებში ძირითადი მესიჯის მიხედვით შეიქმნება ერთიანი ვიზუალური კონცეფცია, რომელიც არჩევნების დასრულებამდე აქტიურად გავრცელდება ყველა საკომუნიკაციო არხის საშუალებით.

ქალბატონი თეა წულუკიანის ინიციატივა წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით მოიწონეს და დადებითად შეაფასეს დამსწრე ორგანიზაციებისა და უწყებების წარმომადგენლებმა. საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ ვადა, ეცნობებინათ კომისიისთვის მონაწილეობის შესახებ და იმ პირის შესახებ, ვინც სუბიექტის სახელით რგოლში იქნებოდა გადაღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ კომისია საქმიანობაში ინფორმაციის ორ წყაროს იყენებს – პარტიებისა და არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს და იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სისტემატურ მედიამონიტორინგს. დღის წესრიგში შედის არა მარტო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, არამედ მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საკითხები.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ განიხილა „ლეიბორისტული პარტიის" განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა ბორჯომში „ლეიბორისტული პარტიის" ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი გიუაშვილზე განხორციელებული განმეორებითი თავდასხმისა და მათ აქტივისტებზე – გიორგი ძიძიგურსა და ნატა გოდერძიშვილზე – განხორციელებული შესაძლო თვალთვალისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.

როგორც მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, გამოძიება დაწყებულია სსკ 125-ე მუხლით (ცემა), დაკითხულნი არიან მოწმეები და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საქმის დეტალები. მისი თქმით, 2016 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე გიორგი გიუაშვილის ცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე გამოიკითხნენ განმცხადებელი გიორგი გიუაშვილი, მისი მეუღლე მაკა ჩადუნელი, ინციდენტში მონაწილე თეიმურაზ (ლაშა) ციცქიშვილი და ფაქტის თვითმხილველი პირები. დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი; გიორგი გიუაშვილის მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი; გიორგი გიუაშვილს და თეიმურაზ (ლაშა) ციცქიშვილს დაენიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თვითმხილველებისა და გიორგი გიუაშვილის გამოკითხვის შედეგები ურთიერთსაპირისპიროა. მოწმეების განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა პირველმა გიორგი გიუაშვილმა მიაყენა თეიმურაზ (ლაშა) ციცქიშვილს, რამაც გამოიწვია ზემოაღნიშნული ინციდენტი. საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ვინაიდან „ლეიბორისტულ პარტიის" წარმომადგენელი არ იმყოფებოდა სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარემ სამდივნოს მიმართა, წერილობით მიეწოდებინათ წარმოდგენილი ინფორმაცია პარტიისათვის.

„ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე – გიორგი ძიძიგურსა და ნატა გოდერძიშვილზე – განხორციელებული შესაძლო თვალთვალისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე კომენტარი გააკეთა ბატონმა შალვა ხუციშვილმა და აღნიშნა, რომ ქალაქის პოლიციის მიერ დაწყებულია საკითხის შესწავლა და ფაქტების შემოწმება. საბოლოო შედეგის და შესაბამისი რეაგირების შესახებ კომისიას ეცნობება უახლოეს პერიოდში.

კომისიამ მოისმინა დღის წესრიგით განსაზღვრული შემდეგი საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქალაქ ფოთში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაკავებისა და ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით გადაყვანას, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა შალვა ხუციშვილმა განმარტა, რომ, პოლიციის წინასწარი ინფორმაციით, დასახელებული პირები იყვნენ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ (მათგან ერთ-ერთი მანამდეც იყო დაჯარიმებული სასამართლოს მიერ ნარკოტიკის მოხმარების გამო). ამ პირთა ექსპერტიზაზე გადაყვანისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა მათ ურჩია, არ ჩაებარებინათ შესაბამისი მასალა ექსპერტიზაზე. შალვა ხუციშვილმა კატეგორიულად გამორიცხა პოლიციის მხრიდან პოლიტიკური შეხედულების გამო დასახელებულ პირთა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანა, ხოლო პოლიციელების მხრიდან პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით ახსენა, რომ გენერალურ ინსპექციაში შესულია განცხადება და მიმდინარეობს საქმის დეტალური მოკვლევა პოლიციის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის შესწავლის მიზნით. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა ქვეყანაში არსებულ ნარკოპოლიტიკას და დაამატა, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილება არ უნდა გახდეს თავშესაფარი ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელთათვის და პოლიცია იმოქმედებს კანონის შესაბამისად ყველას მიმართ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, გარდა ზემოხსენებული ფაქტისა, თუ ჰქონდა მსგავს შემთხვევებს ადგილი, როდესაც მათი რომელიმე აქტივისტი ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით გადაყვანილ იქნა ექსპერტიზაზე, რაზეც ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ სხვა, მსგავსი შინაარსის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

შემდეგი საკითხი შეეხო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მანგლისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ნუგზარ წიკლაურის ბანერის გადანადგურების ფაქტს. ზემოაღნიშნულზე ინფორმაცია წარმოადგინა მთავარი პროკურორის მოადგილემ, რომლის განცხადებითაც, დაბა მანგლისში განთავსებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბანერის დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს

გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ტარდება მოწმეთა გამოკითხვა. საქმეზე დანიშნულია სასაქონლო ექსპერტიზა მიყენებული ზიანის ოდენობის დასადგენად.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, ქალბატონ თინა ბოკუჩავას. მან ფოთში მათი აქტივისტების ნარკოლოგიური შემოწმების საკითხთან დაკავშირებით ბატონ შალვა ხუციშვილს სთხოვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციას უმოკლეს ვადაში გამოეკვლია პოლიციელების მხრიდან შესაძლო გადაცდომის ფაქტი.

ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ ისაუბრა დედოფლისწყაროში მათი ოფისის ფანჯრების ჩამსხვრევის ფაქტზეც. მისი ინფორმაციით, აღნიშნული ქმედების ჩამდენი იყო ვინმე „კაკაშა", რომელიც, ქალბატონი თინას თქმით, არის ყოფილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავი, და მისი ხელმძღვანელობით დედოფლისწყაროს მოსახლეობაზე ხორცილდებოდა ზეწოლა. კომისიის თავმჯდომარემ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს მიმართა, დაინტერესებულიყვნენ და შეესწავლათ აღნიშნული განცხადება.

კომისიამ განიხილა მედიამონიტორინგის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატ სანდრა რულოვსისათვის მოსახლეობასთან შეხვედრის ხელის შეშლასთან დაკავშირებით. სხდომაზე აღნიშნული ფაქტის ამსახველი ვიდეომასალის ჩვენების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ თინა ბოკუჩავას, რომელმაც განაცხადა, რომ შეხვედრის ჩაშლის მცდელობა ჰქონდა ორგანიზებულ ჯგუფს, რომელიც, მისი თქმით, ან „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, ან საჯარო მოხელეებით, ან კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებული პირებით.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა უარყოფითად შეაფასა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერთა მისვლის ფაქტი. მან ხაზი გაუსვა აგრესიული საპასუხო ქმედებების ნეგატიურ ხასიათსაც, რაც წარმოდგენილი კადრების თანახმად, გამოიხატებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მხრიდან.

ჯიხაშკარის შემთხვევასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „ქართული ოცნების" წარმომადგენელს, ბატონ ირაკლი კობახიძეს. მისი განცხადებით, „ქართული ოცნების" ზუგდიდის შტაბი განსაკუთრებული მონიტორინგის ქვეშ მუშაობს. როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, ჯიხაშკარის ინციდენტი მათ დეტალურად შეისწავლეს და

აღმოჩნდა, რომ იმ შეხვედრაზე არ ყოფილან არც მათი აქტივისტები და არც საჯარო მოხელეები. ბატონი ირაკლის თქმით, „ქართული ოცნება“ სრულ პასუხისმგებლობას იღებს იმის თაობაზე, რომ არ მონაწილეობდა აღნიშნულ ინციდენტში და არც მომავალში აპირებს რაიმე მსგავს ქმედებაში მონაწილეობის მიღებას. როგორც მან აღნიშნა, მათთვის ყოვლად მიუღებელია კონტრაქციების მოწყობა. მისი თქმით, კონტრაქციები აქტიურად დაიწყეს სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა და მაგალითად მოიყვანა ზუგდიდსა და ანაკლიაში მომხდარი ფაქტები „ქართული ოცნების“ კანდიდატების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამართულ კონტრაქციებთან, ასევე ოზურგეთში „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. ბატონი ირაკლის თქმით, კონტრაქციების მოწყობის ტენდენცია განსაკუთრებით იკვეთება ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და აჭარაში.

კონტრაქციების თემასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი პარტიის მხრიდან განხორციელებული მსგავსი ქმედება არის დასაგმობი და აუცილებელია, საარჩევნო სუბიექტებმა მკაცრი მითითებები გასცენ საკუთარი მხარდამჭერების მისამართით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მსგავსი ფაქტები.

ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ კონტრაქციების საკითხთან მიმართებით დამატებით კომენტარში აღნიშნა, რომ ჯიხაშკარის შემთხვევა არ იყო ერთადერთი და, რომ მათი კანდიდატების მიერ გამართულ შეხვედრებზე ხშირად არის ხელშეშლის მცდელობა მოქალაქეთა ამა თუ იმ ჯგუფის მიერ.

ბატონი შალვა ხუციშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იხელმძღვანელა მედიაში გავრცელებული ვიდეოთი (ქ. ზუგდიდი) და წინასწარი შესწავლით მომხდარი ფაქტი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. თუმცა, მან მოუწოდა ქალბატონ თინას, დამატებითი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, წარმოედგინა მასალა საგამოძიებო ორგანოსთვის. მისი განცხადებით, საჭიროა წერილობითი საჩივრის არსებობა და დაზარალებულის დაფიქსირება და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი საქმის განხილვის დაწყება შესაძლო წვრილმანი ხულიგნობის კუთხით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს კონტრაქციასა და მასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებზე, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს ძალადობის გარკვეული გამოვლინების შედეგები. გართულებების თავიდან აცილების მიზნით ბატონმა შალვამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს და იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც კონტრაქციების პრობლემებს აწყდებიან,

შესთავაზა, წინასწარ შეატყობინონ აქციის გამართვის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რისთვისაც სპეციალურად გამოიყოფა ერთი თანამშრომელი და 24-საათიან რეჟიმში იმოქმედებს ცხელი ხაზი. შეტყობინების შესვლისთანავე პოლიციის შესაბამისი სამსახური მობილიზებული იქნება, რათა შეხვედრა ჩატარდეს მშვიდ ვითარებაში.

ამასთან, ბატონმა შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პოლიცია ცდილობს, თავი შეიკავოს მსგავს შეხვედრებზე დასწრებისგან, თუ ეს არ იქნება მოთხოვნილი უშუალოდ პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, რადგან შესაძლებელია, პოლიციის ყოფნა შეხვედრის მიმდებარე ადგილას არასწორად იქნეს აღქმული საზოგადოების მიერ და პოლიტიკურმა პარტიებმა განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცენ ამ ფაქტს.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს გამოთქმული ინიციატივისათვის და ყველა საარჩევნო სუბიექტს მოუწოდა პოლიციასთან თანამშრომლობისკენ ამომრჩეველთან შეხვედრის ხელშეშლის პრევენციის მიზნით.

ბატონმა ირაკლი კობახიძემ („ქართული ოცნება") მზაობა გამოხატა შსს-თან თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ კონტრაქციები ამ არჩევნებზე არის მთავარი გამოწვევა, ვინაიდან სწორედ მათი გამოყენებით ექმნება საფრთხე საარჩევნო პროცესის მშვიდობიან მიმდინარეობას.

ბატონი ირაკლის განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან შესაძლოა, იგეგმებოდეს გარკვეული პროვოკაციები, რომელთაც წინასწარ მომზადებული, ყოფილი ძალოვნებისგან შემდგარი ჯგუფები განახორციელებენ. როგორც მან აღნიშნა, ინფორმაცია დაზუსტების პროცესშია. კორცხელის შემთხვევის შემდეგ „ქართული ოცნების" მხრიდან ხორციელდება მხარდამჭერთა სისტემატური გაფრთხილება, რათა არ გახდნენ პროვოკაციების მსხვერპლნი და არ უპასუხონ აგრესიას.

შესაძლო პროვოკაციების შესახებ თინათინ ბოკუჩავამ „ქართული ოცნების" წარმომადგენლის ეჭვებს უსაფუძვლო უწოდა და აქვე განაცხადა სუს-ის მიერ მოქალაქეებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ, მათ შორის, გურიაში სუს-ის უფროსის მიერ მათი კანდიდატის მხარდამჭერებზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ქალბატონ თინათინს, მათ აქტივისტებზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის და, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, იქნებოდა მკაცრი რეაგირება.

შემდგომ სხდომაზე ნაჩვენები იქნა მარტვილში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, ზაზა გოროზიას, რძლის – ოლგა ჩურკანოვას, მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის (ცემა) თაობაზე მარტვილის 65-ე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ „ქართული ოცნებიდან".

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2016 წლის 21 აგვისტოს მარტვილის რაიონულ სამმართველოში შემოსული შეტყობინების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრები ელგა ცანავას ცემის ფაქტზე სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოიკითხნენ როგორც ინციდენტში მონაწილე პირები, ისე თვითმხილველებიც, რომლებიც ადასტურებენ ელგა ცანავას ცემის ფაქტს; ასევე, გამოირკვა, რომ კონფლიქტის დროს ოლგა ჩურკანოვამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნინო დანელიას, რომელიც გაშველებას ცდილობდა. დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზები, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

კომისიის თავმჯდომარემ ამ ინციდენტთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოუწოდა საზოგადოებას მაქსიმალური სიმშვიდისკენ, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს – ოპერატიული და მკაცრი ნაბიჯებისკენ. ქალბატონმა თეა წულუკიანმა ზემოაღნიშნულ საქმეზე კომენტარი სთხოვა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი კალანდარიშვილს, რომლის განცხადებითაც, ცესკო-ს შიდა აუდიტის სამსახური აწარმოებს მოკვლევას და უახლოეს პერიოდში ცნობილი გახდება შედეგების შესახებ.

სხდომის მიმდინარეობისას კომისიის თავმჯდომარემ განიხილა კომისიაში რეკომენდაციების გამოცემის მიზნით წარმოდგენილი საარჩევნო გაერთიანების – „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – განცხადება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ, რომლის თანახმადაც, საარჩევნო სუბიექტების მიერ პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადის (8 სექტემბერი) გასვლის შემდეგ არაკვალიფიციურ სუბიექტებს მიეცეთ უფლება, კვირის ყოველ სამუშაო დღეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პრესცენტრში გამართონ თითო ბრიფინგი. ასევე, განიხილეს სარეკომენდაციო შინაარსის მქონე „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენლის, ბატონი გრიგოლ გაგნიძის, განცხადება ცესკო-ს მიმართ მაჟორიტარი კანდიდატების ნასამართლობის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო გაერთიანების – „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – წარმომადგენლისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკითხს სწავლობს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელმაც პოზიციის დასაფიქსირებლად მიმართა „საზოგადოებრივ მაუწყებელს". ამასთან, ქალბატონმა თეა

წულუკიანმა ზემოაღნიშნული ორივე განცხადების ადრესატებს განუმარტა, რომ დასმული საკითხები არ შედიოდა უწყებათაშორისი კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში და მოუწოდა ყველა დამსწრე პირს, თავი შეეკავებინათ მსგავსი შინაარსის განცხადებების წარმოდგენისგან, რადგან კომისია უფლებამოსილია, განიხილოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ძალადობის ფაქტები.

სარეკომენდაციო ხასიათის განცხადება გააცნო კომისიას დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"), რომლის თანახმადაც, იგი მიმართავს ცესკო-ს, მიიღოს „საქართველოს საარჩევნო კოდექსით" (მუხლი 30, პუნქტი 2) განსაზღვრული შესაბამისი დადგენილება სპეციალურ სიებში დამკვირვებელთა და წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ბატონ დანიელს გადასცა ცესკო-ს წერილობითი პასუხი, ამასთან, მიმართა, რომ ეს საკითხიც სცილდებოდა კომისიის უფლებამოსილების ფარგლებს და დაამატა, რომ სამდივნოში შესულ მსგავს განცხადებებზე წერილის ავტორებს განხილვაზე უარყოფითი პასუხი ეცნობებათ და მიეწოდებათ ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოს შესახებ.

სხდომის მიმდინარეობისას, თავმჯდომარემ მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს მიაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გურჯაანის გამგებელი და გამგეობა ადგილობრივი საჯარო სკოლების მასწავლებლებსა და სხვა საჯარო მოხელეებს უკრძალავდა დამოუკიდებელი კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრებზე დასწრებას. თავმჯდომარემ ითხოვა რეაგირება ამ საკითხზე და განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია სამდივნოს მიაწოდა ბატონმა გიორგი შენგელაიამ.

კომისიის თავმჯდომარის მიერ სხდომაზე დამსწრე პირებისა და საზოგადოების საყურადღებოდ გაკეთებული განცხადების თანახმად, გეოგრაფიულად საქართველოს რთულ პოლიტიკურ რეგიონში მდებარეობის, ქვეყნის ოკუპაციის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ტერორიზმის შეღწევის, საქართველოში მოახლოებული არჩევნებისა და რთული მდგომარეობის ფონზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახერხებს და იცავს ქვეყანაში მშვიდობას, ახორციელებს ტერორიზმის პრევენციას და მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, მეტი პატივისცემა გამოიჩინონ ამ ინსტიტუტისადმი და თავი შეიკავონ ისეთი დაუსაბუთებელი განცხადებებისგან, რაც მხოლოდ სუს-ის რეპუტაციის შელახვას ემსახურება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ბატონმა მირიან მჭედლიშვილმა, მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ ცალკეულმა პარტიულმა წარმომადგენელმა რამდენჯერმე გამოთქვა პრეტენზია სუს-ის სამსახურის მისამართით, რაც არ ყოფილა არგუმენტირებული ან ფაქტებით განმტკიცებულ-დასაბუთებული. მან სთხოვა პარტიების წარმომადგენლებს, რომ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში წარმოადგინონ სათანადო ფაქტები, რომელთა საფუძველზეც უსაფრთხოების სამსახურს ექნება რეაგირებისა და მათთვის დასაბუთებული პასუხის გაცემის საშუალება.

სხდომის დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 14 სექტემბერი, ოთხშაბათი, 18.00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“ – კახა კუკავა;
- „მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომა დასრულდა 20.15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: